საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

პაატა სილაგაძე

ბიულეტენი

კენჭისყრა - 12.11.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს თამარ ოქროპირიძე?
დიახ არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს

ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის

პაატა სილაგაძის

მ ი მ ა რ თ ვ ა

12 ნოემბერი 2021 წელი ქ. თბილისი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად, საქართველოს პარლამენტისათვის თამარ ოქროპირიძის კანდიდატურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთებას.

დანართი: 1 ფურცლად

პატივისცემით,

პაატა სილაგაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად, საქართველოს პარლამენტისათვის თამარ ოქროპირიძის კანდიდატურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთება

12 ნოემბერი 2021 წელი ქ. თბილისი

2021 წლის 4 ნოემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-12 და მე-15 პუნქტების შესაბამისად ჩატარებული ღია კენჭისყრის ფარგლებში, მხარი დავუჭირე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი თამარ ოქროპირიძის კანდიდატურის შემდგომ ეტაპზე გადაყვანას შემდეგ გარემოებათა გამო:

თამარ ოქროპირიძის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, კანდიდატის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ მოპოვებული ინფორმაციის გაცნობისა და კანდიდატთან ჩატარებული გასაუბრების ჩემ მიერ თვალყურის დევნებით, აგრეთვე ჩემი და კანდიდატის ხანგრძლივი თანამშრომლობის გათვალისწინებით მივედი დასკვნამდე, რომ კანდიდატი, თამარ ოქროპირიძე, სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმს.

აქვე აღსანიშნავია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დანარჩენმა წევრებმა (შეფასების პროცედურაში მონაწილე წევრებმა) კანდიდატი, თამარ ოქროპირიძე, მიიჩნიეს სრულად კეთილსინდისიერად და კომპეტენტურად, რასაც მოწმობს მის მიერ მიღებული მაღალი შეფასებები.

შესაბამისად, მითითებული გარემოებების გათვალისწინებით მივიჩნევ, რომ კანდიდატი - თამარ ოქროპირიძე სრულად აკმაყოფილებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად საჭირო კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმს. იგი სრულად შეესაბამება ამ თანამდებობას და მხარს ვუჭერ მისი კანდიდატურის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

პაატა სილაგაძე